საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 3226/01
01/04/2021

3226-01-2-202104011518

ფიზიკურ პირს სერგო კუბეციას (პ/ნ 39001005841)
მის: სენაკის მუნიციპალიტეტი, სოფ. ფოცხო
ელ. ფოსტა: d.kubetsia@gmail.com

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 22 მარტის N4907 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება სენაკის მუნიციპალიტეტში, სოფელ ფოცხოში სამელიორაციო სისტემის მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის სკრინინგის განცხადებას.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები, კერძოდ:

- ინფორმაცია მდინარე გურძემის ჰიდროლოგიის და გურძემის წყლის ხარჯის შიდაწლიური გადანაწილების შესახებ წყალაღების კვეთში;
- ინფორმაცია მდინარე გურძემზე არსებული სხვა წყალმომხმარებლების შესახებ; ამასთან, სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იქნას ინფორმაცია პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების შესახებ;
- ინფორმაცია მოცვის ბაღების მორწყვის ჯერადობის შესახებ (თვეში, წელიწადში);
- სკრინინგის განცხადების თანახმად, სარწყავ სისტემაზე დამონტაჟდება საფილტრე მოწყობილობები, რომლებიც უზრუნველყოფენ წყლის გაწმენდას ქვიშისა და სხვა არასასურველი მინარევებისგან. დაზუსტებას საჭიროებს ზემოაღნიშნული ქვიშისა და სხვა არასასურველი მინარევების მართვის საკითხები;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, სატუმბი დანადგარის მიმდებარედ არ გვხვდება დასახლებული პუნქტი. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ ტუმბოს განთავსების ადგილიდან დაახლოებით 140 და 156 მეტრში ფიქსირდება ფიზიკურ პირებზე რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები (ს/კ 44.08.31.113 და ს/კ 44.08.31.003), რომლებზეც განთავსებულია შენობა-ნაგებობები. დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია სატუმბი დანადგარიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე მანძილის შესახებ.

სამინისტრო სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული შენიშვნების შესაბამისად შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე